

28/05/2024



MES 5 24 0000587626

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N181 საჯარო სკოლა:

მზია გიორგობიანი - სკოლის დირექტორი

2. სსიპ - ვაჟა - ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის №1 საჯარო სკოლა:

ლალი ებიტაშვილი-სკოლის დირექტორი

3. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლა:

თენგიზ ალმასია- სკოლის დირექტორი

4. სსიპ - ხვიჩა ზიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლა:

მარინე ათანელიშვილი - სკოლის დირექტორი

მაია ქურციკიძე - დირექტორის მოადგილე

მაია დოსმიშვილი - ინფორმაციული მენეჯერი

5. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლა:

ნელი ჯანანაშვილი -სკოლის დირექტორი

6. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლა:

მამუკა ხაჩიძე- სკოლის დირექტორი

7. სსიპ - დავით ელიზბარაშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N1 საჯარო სკოლა:

ზაირა არევაძე- სკოლის დირექტორი

8. სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლა:

რუსუდან უსუფაშვილი- სკოლის დირექტორი

9. სსიპ - ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა:

გიორგი ბერძნიშვილი- სკოლის დირექტორი

10. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისის საჯარო სკოლა:

ნინო გარსევანიშვილი- სკოლის დირექტორი

11. სსიპ - ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლა:

12. სსიპ - ქალაქ ბაღდათის N2 საჯარო სკოლა:

13. სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლა:

ლიანა ჯღარკავა- სკოლის დირექტორი

14. სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ კორტანეთის საჯარო:

ზურაბ გელაშვილი - სკოლის დირექტორი

15. სსიპ - ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლა:

რუსუდან ლომიძე- სკოლის დირექტორი

16. სსიპ - ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლა:

თამარიკო ფიჩხულაშვილი - სკოლის დირექტორი

17. სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N6 საჯარო სკოლა:

ნატო შამილიშვილი- სკოლის დირექტორი

18. სსიპ -წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლა:

მზია ვაშალომიძე- სკოლის დირექტორი

19. სსიპ- ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლა:

მარინა ისკაკოვა- სკოლის დირექტორი

20. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანის საჯარო სკოლა:

ცირა აბულაძე-სკოლის დირექტორი

21. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლა:

ნაზი თატანაშვილი- სკოლის დირექტორი

22. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო:

მალხაზ სამსონია- სკოლის დირექტორი

23. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლა:

ლეილა გაბეჩავა- სკოლის დირექტორი

24. შპს - საერთაშორისო აკადემია ლოგოსი:

გიორგი ჩავლეელიშვილი- სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ქალაქ თბილისის N181 საჯარო სკოლა

რაინდი როდონაია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;

ფიქრია მახარაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მაღაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 13 მაისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N181 საჯარო სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. „ სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის N1162691 გადაწყვეტილებისა და N1166754 ოქმის მეხუთე დანართში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;
3. „სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398636 გადაწყვეტილების დანართსა და N1396138 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;
4. „ სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398150 გადაწყვეტილების დანართსა და N1396138 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;
5. „ სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N1259684 გადაწყვეტილების დანართსა და N1258417 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;
6. „ სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N1259677 გადაწყვეტილების დანართსა და N1258417 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;

19. „სსიპ -წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N1380237 გადაწყვეტილებასა და N1375556 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;
20. „სსიპ - ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N1415013 გადაწყვეტილებასა და N1414716 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;
21. „სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მენწმანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 ოქტომბრის N1423700 გადაწყვეტილებასა და N1421424 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;
22. „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის N1462747 გადაწყვეტილებასა და N1460129 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;
23. „სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 09 ნოემბრის N1519750 გადაწყვეტილებასა და N1519224 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;
24. „სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1555309 გადაწყვეტილებასა და N1552694 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;
25. „შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის N1144739 გადაწყვეტილებასა და N1140217 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N181 საჯარო სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აც ი ლ ე ბ ა ა რ ჰ ქ ო ნ დ ა თ .

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რაინდი როდონაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 29 მარტს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, მუხიანის მე-4 ბ. მ/რ-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს სკოლაში აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 1575-ს.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 2023 წელს მიენიჭა ავტორიზაცია, რომლის მიხედვითაც სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა საბჭოს მიერ განესაზღვრა 1600-ით, თუმცა მას შემდეგ, რაც სკოლის შენობა-ნაგებობას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, გაიზარდა მიმართვიანობა, რის საფუძველზეც საჭირო გახდა სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით გაზრდა. შესაბამისად, დაწესებულება ითხოვდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 2000 მოსწავლით.

რაინდი როდონაიას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის მე-3 სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, „მეტწილი“ შესაბამისობით იყო შეფასებული ასევე მესამე სტანდარტის 3.1 და 3.4 კომპონენტები.

ექსპერტმა განმარტა, რომ 2023 წელს ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სკოლის მიმართ გასცა რეკომენდაცია, რომ უზრუნველყო ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ვაკანსია ექიმის ვაკანტური ადგილისთვის გამოცხადებული ჰქონდა რამდენჯერმე, მათ ვერ მოახერხეს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის შერჩევა. შესაბამისად, ექსპერტ რაინდი როდონაიას განცხადებით, სკოლას ამ ეტაპზე განესაზღვრა რეკომენდაცია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის აყვანასთან დაკავშირებით. მან, ასევე, აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რჩევებიც, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ასევე, გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული, ჰქონდა გარე და შიდა სპორტული მოედანი, სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ექიმის კაბინეტი, ნათელი საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურსოთახი და საკონფერენციო დარბაზი. შენობაში დამონტაჟებული იყო ლიფტი და პანდუსები. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლა მზად იყო საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2000 მოსწავლისთვის.

სკოლის დირექტორმა, მზია გიორგობიანმა დამატებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას უკვე მეოთხედ ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის აყვანასთან დაკავშირებით. დირექტორის განცხადებით, ვაკანსიას ბოლო ეტაპზე გამოეხმაურა კანდიდატი, რომელიც შეირჩა ვაკანტური ადგილისთვის. სკოლაში დასაქმებული იყო პედიატრი და ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს სკოლის მიმართ გაცემული ჰქონდა რჩევა შენობის სეისმურ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ზუსტად როდის განხორციელდა სკოლის სრული რეაბილიტაცია, როდის მოიწვია სკოლამ ექსპერტთა ჯგუფი გამაგრებით სამუშაოებთან დაკავშირებით და დაწყებული იყო თუ არა რაიმე სახის სამუშაოები სეისმურ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორმა, მზია გიორგობიანმა განაცხადა, რომ სკოლის რეაბილიტაცია, რომელსაც ახორციელებდა მუნიციპალური განვითარების ფონდი, მიმდინარეობდა ორი წლის განმავლობაში და სკოლამ მხოლოდ მიმდინარე სასწავლო წელს მოახერხა დაბრუნებოდა საკუთარ შენობას. დირექტორის განმარტებით, სკოლას სამუშაოების დასრულების შემდეგ არ ჰქონდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, ამიტომ მათ მიმართეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და მოითხოვეს ექსპერტთა ვიზიტი შენობის სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. სკოლამ აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა დასკვნა მიიღო მიმდინარე წლის იანვარში, სადაც ეწერა, რომ აღნიშნულ ეტაპზე შენობის ტექნიკური მდგომარეობა შეფასებული იყო დამაკმაყოფილებლად, თუმცა იგი შეუსაბამო იყო სეისმურ ნორმებთან. ამ ეტაპზე შენობის ექსპლუატაცია შესაძლებელი იყო, მაგრამ შემდგომი ხანგრძლივი ექსპლუატაციისათვის საჭიროებდა გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარებას.

დირექტორმა, ასევე, განმარტა, რომ მან აღნიშნულის შემდეგ მიმართა მუნიციპალური განვითარების ფონდს და გამოითხოვა დოკუმენტაცია შენობის სეისმურ მდგრადობასთან დაკავშირებით, ვინაიდან სკოლის რეაბილიტაციის პროცესში მოხდა შენობის საფუძვლიანი შესწავლა. მიღებულ დასკვნაში ეწერა, რომ შენობა იყო სეისმურად მდგრადი და გათვლილი 8 ბალიან მიწისძვრაზე.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს სკოლის მიმართ გაცემული ჰქონდა რჩევა სსსმ მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე, გაზრდილიყო სპეციალური მასწავლებლების რაოდენობა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, აპირებდა თუ არა სკოლა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას აღნიშნული მიმართულებით. სკოლის დირექტორმა, მზია გიორგობიანმა განაცხადა, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლეთა რაოდენობა არ იყო მდგრადი. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 29-ს, თუმცა მოცემულ მომენტში ირიცხებოდა 27 სსსმ მოსწავლე. დირექტორის განცხადებით, მოსწავლეთა სტაბილურად მზარდი რაოდენობის შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფდა სპეციალური მასწავლებლის დამატებითი კადრის აყვანას.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს და სთხოვა დაეზუსტებინა, ხომ არ აპირებდა სამედიცინო პერსონალის რაოდენობის გაზრდას ვინაიდან, სარეკომენდაციო ცხრილით, რომელიც მოსწავლეთა რაოდენობისა და სამედიცინო პერსონალის თანაფარდობას გულისხმობდა, ექიმთან ერთად სკოლას შეეძლო ჰყოლოდა ექთანიც. სკოლის დირექტორმა, მზია გიორგობიანმა აღნიშნა, რომ სკოლას ოფიციალურად სამტატო ერთეულით დამტკიცებული ჰქონდა ორი ექიმის შტატი. მოცემულ მომენტში სკოლას უკვე ჰყავდა ერთი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმიდასაქმებული. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდებოდა მეორე ექიმის აყვანა შესაბამისი კვალიფიკაციით, სკოლა უზრუნველყოფდა სამტატო განრიგში ცვლილებების შეტანას და ექიმი ჩანაცვლდებოდა ექთნით.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მაღაზონიამ, ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევა ეხებოდა ტექნოლოგიების მასწავლებლის კონკურსის წესით აყვანას. საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის დირექტორს სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინა აღნიშნულთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, მზია გიორგობიანმა განაცხადა, რომ სკოლაში მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულებით დასაქმებული იყო კომპიუტერული

ტექნოლოგიების ორი პედაგოგი, რომლებიც ამავედროულად იყვნენ სკოლის საქმისმწარმოებელი და დირექტორის მოადგილე. დირექტორმა, მზია გიორგობიანმა აღნიშნა, რომ სკოლამ წინა წელს გამოაცხადა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ორმა კანდიდატმა, გასაუბრებაზე კი გამოცხადდა მხოლოდ ერთი. აღნიშნულმა კანდიდატმა ვერ შეძლო ვაკანტური ადგილის დაკავება, ვინაიდან დასაქმებული იყო რამდენიმე სკოლაში, ამიტომ სკოლის საქმისმწარმოებელს და დირექტორის მოადგილეს შეთავსებით ჰქონდათ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის 9 საათი. დირექტორმა, ასევე, განაცხადა, რომ მომავალი წლიდან სკოლაში გაიზრდებოდა საათების რაოდენობა და შესაბამისად, მოხდებოდა კონკურსის წესით მასწავლებლის აყვანა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N181 საჯარო სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 2000-ით განსაზღვრის შესახებ საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს, დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად მიჩნეულიყო საბჭოს ჩატარების დღე 2024 წლის 13 მაისი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო 16:30

დასრულების დრო 16:40

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N181 საჯარო სკოლას (ს/კ: 209471374) გაეზარდოს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 2000-ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 13 მაისი.

საბჭომ 3.1 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის მაისამდე. კერძოდ, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ცენტრში.

2. „სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის N1162691 გადაწყვეტილებისა და N1166754 ოქმის მეხუთე დანართში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცენტრში შემოსული იყო სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის №1 საჯარო სკოლის წერილი საჯარო რეესტრში სკოლის მისამართის ცვლილების შესახებ. კერძოდ, სკოლის წერილიდან ირკვეოდა, რომ ქუჩა ხელახლა გადაინომრა, რის გამოც ნაცვლად დავით აღმაშენებლის ქ. N57 - ის, საჯარო რეესტრში ფიქსირდებოდა ახალი მისამართი - დავით აღმაშენებლის ქ. N47. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა დაამატა, რომ სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი იყო საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერი.

შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის N1162691 გადაწყვეტილებისა და N1166754 ოქმის დანართში საჭირო იყო განხორციელებულიყო ცვლილება და სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის №1 საჯარო სკოლას მისამართად დაფიქსირებოდა ქ.დუშეთი, დავით აღმაშენებლის N47.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის N1162691 გადაწყვეტილებისა და N1166754 ოქმის მეხუთე დანართში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, „სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ დუშეთის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის N1162691 გადაწყვეტილებისა და N1166754 ოქმის მეხუთე დანართში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

დანართი:

N				
---	--	--	--	--

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ.დუშეთი, დავით აღმაშენებლის N47.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ.დუშეთი, დავით აღმაშენებლის N47.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ.დუშეთი, დავით აღმაშენებლის N47.

3. „სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398636 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში, დანართსა და N1396138 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცენტრში შემოსული იყო სსიპ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის წერილი საჯარო რეესტრში სკოლის მისამართის ცვლილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლის წერილიდან ირკვეოდა, რომ სკოლას საავტორიზაციო განაცხადში, რომლის მიხედვითაც მიენიჭა ავტორიზაცია, მეორე კორპუსის მისამართად, სადაც იგი ახორციელებდა დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, დაფიქსირებული ჰქონდა ზუგდიდი, დავითიანის უბანი, დადიანის N18, ხოლო ამჟამად საჯარო რეესტრში ფიქსირდებოდა ახალი მისამართი- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი დავითიანი, დავით დადიანის I ჩიხი, N1. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა დაამატა, რომ სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი იყო საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერი.

შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398636 გადაწყვეტილებაში, გადაწყვეტილების დანართში და N1396138 ოქმის მეშვიდე ნაწილში საჭირო იყო განხორციელებულიყო ცვლილება და სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის მეორე კორპუსის მისამართად, დაფიქსირებოდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი დავითიანი, დავით დადიანის I ჩიხი, N 1.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად

ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398636 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში, დანართსა და N1396138 ოქმის მეშვიდე ნაწილში ცვლილებების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, „სსიპ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398636 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლას (ს/კ: 220373566) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.“

შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398636 გადაწყვეტილების დანართსა და N1396138 ოქმის მეშვიდე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლას (ს/კ: 220373566) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 390-ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

--	--	--	--

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზუგდიდი, სოფელი ოქტომბერი, კინწურაშვილის N2 / ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი დავითიანი, დავით დადიანის I ჩიხი, N1.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზუგდიდი, სოფელი ოქტომბერი, კინწურაშვილის N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზუგდიდი, სოფელი ოქტომბერი, კინწურაშვილის N2

4. „სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398150 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში, დანართსა და N1396138 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცენტრში შემოსული იყო სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის წერილი სკოლის მისამართის ცვლილების შესახებ. სკოლის წერილიდან ირკვეოდა, კერძოდ, სკოლის წერილიდან ირკვეოდა, რომ სკოლას საავტორიზაციო განაცხადში, რომლის მიხედვითაც მიენიჭა ავტორიზაცია, მისამართად დაფიქსირებული ჰქონდა სოფელი ტიბაანი, ქუჩა 14, ჩიხი 2 N10-ისა, ხოლო ამჟამად საჯარო რეესტრში ფიქსირდებოდა ახალი მისამართი - სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტიბაანი, ეკა ბეჟანიშვილის II ჩიხი, N10. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა დაამატა, რომ სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი იყო საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერი.

შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398150 გადაწყვეტილების დანართსა და N1396138 ოქმის მესამე ნაწილში საჭირო იყო განხორციელებულიყო ცვლილება და „სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლას მისამართად დაფიქსირებოდა სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტიბაანი, ეკა ბეჟანიშვილის II ჩიხი, N10.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა

დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398150 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში, დანართსა და N1396138 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, „სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398150 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლას (ს/კ: 240412816) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.“

შევიდეს ცვლილება „სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398150 გადაწყვეტილების დანართსა და N1396138 ოქმის მესამე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2¹ და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის საჯარო სკოლას (ს/კ: 240412816) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სოფელი ტიბაანი, ეკა ბეჟანიშვილის II ჩიხი, N10
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სოფელი ტიბაანი, ეკა ბეჟანიშვილის II ჩიხი, N10
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სოფელი ტიბაანი, ეკა ბეჟანიშვილის II ჩიხი, N10

5. „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N1259684 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში, დანართსა და N1258417 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცენტრში შემოსული იყო სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის წერილი საჯარო რეესტრში სკოლის მისამართის ცვლილების შესახებ. კერძოდ, სკოლის წერილიდან ირკვეოდა, რომ სკოლას საავტორიზაციო განაცხადში, რომლის მიხედვითაც მიენიჭა ავტორიზაცია, მისამართად დაფიქსირებული ჰქონდა კასპი ს. კავთისხევი 39-ე ქ. N 7, ამჟამად კი საჯარო რეესტრში ფიქსირდებოდა ახალი მისამართები - კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კავთისხევი, 39-ე ქუჩა N5, ხოლო სკოლის სპორტული მოედნის მისამართი - კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კავთისხევი, 39-ე ქუჩა, N5 ა. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა დაამატა, რომ სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი იყო საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერი.

შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N1259684 გადაწყვეტილების დანართსა და N1258417 ოქმის მეხუთე ნაწილში საჭირო იყო განხორციელებულიყო ცვლილება და სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლას მისამართად დაფიქსირებოდა კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კავთისხევი, 39-ე ქუჩა N5, ხოლო სკოლის სპორტული მოედნის მისამართად კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კავთისხევი, 39-ე ქუჩა, N5 ა.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად

განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N1259684 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში, დანართსა და N1258417 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N1259684 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლას (ს/კ: 232579652) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.“

შევიდეს ცვლილება „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N1259684 გადაწყვეტილების დანართსა და N1258417 ოქმის მეხუთე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლას (ს/კ: 232579652) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით.

დაწესებულებას მიეცეს უფლება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

დანართი N4:

N				
---	--	--	--	--

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კავთისხევი, 39-ე ქუჩა N5, კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კავთისხევი, 39-ე ქუჩა, N5 ა.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კავთისხევი, 39-ე ქუჩა N5, კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კავთისხევი, 39-ე ქუჩა, N5 ა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კავთისხევი, 39-ე ქუჩა N5, კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კავთისხევი, 39-ე ქუჩა, N5 ა.

6. „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N1259677 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში, დანართსა და N1258417 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცენტრში შემოსული იყო სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლის წერილი საჯარო რეესტრში სკოლის მისამართის ცვლილების შესახებ. კერძოდ, სკოლის წერილიდან ირკვეოდა, რომ სკოლას საავტორიზაციო განაცხადში, რომლის მიხედვითაც მიენიჭა ავტორიზაცია, დაფიქსირებული ჰქონდა მისამართები ქალაქი ხაშური, ოქტომბრის ქუჩა N24 (ქ. ხაშური, ნ. დუმბაძის ქ. №276) ამჟამად კი საჯარო რეესტრში ფიქსირდებოდა ახალი მისამართი - ოქტომბრის ქუჩა №241. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა დაამატა, რომ სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი იყო საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერი.

შესაბამისად, „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N1259677 გადაწყვეტილების დანართსა და N1258417 ოქმის მეოთხე ნაწილში საჭირო იყო განხორციელებულიყო ცვლილება და სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლას მისამართად დაფიქსირებოდა ახალი მისამართი ქალაქი ხაშური, ოქტომბრის ქუჩა N241-ის.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად

ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ვადად განისაზღვრა ავტორიზაციის მოპოვებიდან 9 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ ახალი სტანდარტების შესაბამისად გაიარა ავტორიზაცია, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ამ მიმართულებითაც და დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადად განსაზღვრულიყო 9 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N1259677 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში, დანართსა და N1258417 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N1259677 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლას (ს/კ: 243891507) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.“

შევიდეს ცვლილება „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N1259677 გადაწყვეტილების დანართსა და N1258417 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლას (ს/კ: 243891507) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550 - ით. დაწესებულებას მიეცეს უფლება განხორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,
---	--	---	----------------------	--

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ხაშური, ოქტომბრის ქუჩა N241
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ხაშური, ოქტომბრის ქუჩა N241
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ხაშური, ოქტომბრის ქუჩა N241

„

7. „ სსიპ - დავით ელიზბარაშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის N1166934 გადაწყვეტილებისა და N1166754 ოქმის მეოთხე დანართში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცენტრში შემოსული იყო სსიპ - დავით ელიზბარაშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N1 საჯარო სკოლის წერილი საჯარო რეესტრში სკოლის მისამართის ცვლილების შესახებ. კერძოდ, სკოლის წერილიდან ირკვეოდა, რომ სკოლას საავტორიზაციო განაცხადში, რომლის მიხედვითაც მიენიჭა ავტორიზაცია, მისამართად დაფიქსირებული ჰქონდა ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი შილდა, ხოლო ამჟამად საჯარო რეესტრში ფიქსირდებოდა ახალი მისამართი - ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი შილდა, დავით ელიზბარაშვილის ქუჩა N89. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა დაამატა, რომ სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი იყო საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერი.

შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 2023 წლის 15 სექტემბრის N1166934 გადაწყვეტილებისა და N1166754 ოქმის მეოთხე დანართში საჭირო იყო განხორციელებულიყო ცვლილება და სსიპ - დავით ელიზბარაშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N1 საჯარო სკოლას მისამართად დაფიქსირებოდა ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი შილდა, დავით ელიზბარაშვილის ქუჩა N89.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „ სსიპ - დავით ელიზბარაშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის N1166934 გადაწყვეტილებისა და N1166754 ოქმის მეოთხე დანართში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, „სსიპ - დავით ელიზბარაშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N1 საჯაროსკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის N1166934 გადაწყვეტილებისა და N1166754 ოქმის მეოთხე დანართში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დანართი N4:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი შილდა, დავით ელიზბარაშვილის ქუჩა N89.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი შილდა, დავით ელიზბარაშვილის ქუჩა N89.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი შილდა, დავით ელიზბარაშვილის ქუჩა N89.

დავით მალაზონიამ განმარტა, რომ საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა დღის წესრიგში ასახული სკოლების გადაწყვეტილებებში შევიდეს ცვლილებები შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის მიზნით, როდესაც ოქმში ასახულია, „მონიტორინგი დოკუმენტების შესწავლით“ შეიცვალოს „დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირებით“;
- გამომდინარე იქიდან, რომ მესამე სტანდარტთან მიმართებაში სკოლებს ხარვეზი ძირითადად ჰქონდათ ისეთ საკითხებზე რისი ინფორმირებაც ცენტრში შესაძლებელია დოკუმენტების გამოგზავნით, საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა, როდესაც სკოლას მხოლოდ მესამე სტანდარტზე ან მესამე სტანდარტის კომპონენტებზე აქვს დანიშნული მონიტორინგი შეიცვალოს „დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირებით“, რითიც მოხდება სკოლის საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა;

- როდესაც ოქმში ასახულია ერთიდაიგივე ინდიკატორთან მიმართებაში მონიტორინგიც და ცენტრის ინფორმირებაც, მხოლოდ მონიტორინგის ფარგლებში მოხდეს საკითხების შესწავლა.

8. „სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 31 აგვისტოს N1060118 გადაწყვეტილებასა და N1059844 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 31 აგვისტოს N1059844 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლას 3.4 და 3.6 კომპონენტებთან მიმართებით 2025 წლის აგვისტოდან დაენიშნა მონიტორინგი ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ, განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმსა და N1060118 გადაწყვეტილებაში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის აგვისტოში 3.4 და 3.6 კომპონენტებთან მიმართებაში დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულებით.

